საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 145 კვირა, იანვრის 14 (27) 1918 წ.

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

21 № 145

დამფუძნებელ კრების გარეკის გამო პეტროგრადში ეწყება დაწესებულების მოსამსახურენი გაიფიცნენ.—კადეტების პარტიამ თავისი წევრები დამფუძნებელ კრებაზე არ გაგზავნა.—უკანასკნელი ცნობებით უკრაინის გარშემო დიდ-მალი ყაზახობა იყრის თავს.—ამიერ-კავკასიის რკ. გზის უფროსი ურჩევს მგზავრებს არ იმგზავრონ ამიერკავკასიის რკ. გზაზე.—ქართული უნივერსიტეტის რექტორად პროფესორი პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 8 მან., 20×2 ღირს 12 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (კ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ეღირება ერთი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და ვასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакмэ“, поч. ящ. 190.

ფ ა ს ი 20 კ ა პ.

ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სახალხო საქმე“-ზე

ხელის მოწერის პირობები: წლით 50 მანეთი, ნახევარი წლით 27 მან., 3 თვით—13 მან. 50 კაპ. ერთი თვით—4 მან. 50 კაპ.

ნომერი ღირს 20 კაპ.

ხელის მოწერის პირობები შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

ფოსტით გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით *Тифлисъ. ред. „Сахалхо Сакме“, почт. ящ. 190,*

რედაქციაში მიიღება დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოთი: 5—7 საათამდე. რედაქციის მისამართი: სასახლის ქ. № 6, შესავალი ეზოდან. კვირაობით კანტორა მხოლოდ დილისით არის ღია.

ყველა ხელის მომწერს ვინც მიიღო რედაქციიდან ხელის მოსაწერი ბლანკები ვთხოვთ ფული გამოგზავნონ შეცვლილ განცხადების მიხედვით.

ქალი ანტონის ასული ჯანდიერის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მამის

ანტონ ივანეს ძის ჯანდიერის

გარდაცვალებას. გამოსვენება კვირას, 14 იანვარს ნაძალადევის ეკლესიაში დილის 10 საათზე, დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი დღეს 13 იანვარს, საღამოს 5 საათზე (ნაძალადევი ჩერქეზიშვილის ქუჩა № 100). 58

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები თ-დი მელქისიდეკ გრიგოლის ძე ფალავა და ელენე კონსტანტინეს ასული, ძმა იური, დები, ვერა, გულნარა და მარიამ, ბიძა დავით გრიგოლის ძე მეუღლით პელაგია ნიკოლოზის ასულით და ასული მათი ანტონინა, რძალი ალექსანდრა და სიძე ალექსანდრე იაკობის ძე გამცემლიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ქ. ტფილისში 13 იანვარს გარდაიცვალა საყვარელი და დაუვიწყარი

მიხეილ (მიშო) მელქისედეკის ძე

ფალავა

პანაშვიდი კვირას 14 იანვარს საღამოს 5 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. საიდანაც ორშაბათს 15 იანვარს ნაშუადღევის 4 საათზე მიცვალებულს გამოასვენებენ სადგურზე და წაასვენებენ სოფელ ბანძას.

ქართული კლუბი

კვირას, 14 იანვარს გაიმართება

ვ. ქუჩიშვილის დილა

მონაწილეობენ: დ. კასრაძე, თავზარა, ვ. რუხაძე, ლეო ქიაჩელი, დარია ახვლედიანი, ობოლი მუშა, ვეფხო ფშაველა, ვ. საათაშვილი და სხ. ბილეთები დღეს გაიყიდება კანტორა „განათლებაში“, ხოლო კვირას—ქართ. კლუბში.

დასაწყისი 12 ს. 1021 გამგე ვ. საათაშვილი

ქართ: დრამ. | ქართული კლუბი | წარმოდგ. № 27.

ორშაბათს, 15 იანვარს, 1918 წ.

ტფ. ქართ. დრამ. დასის მიერ წარმოდგენილ იქნება:

დღენი ჩვენი ცხოვრებისა

4 მოქ. თარგ. ალ. იმედაშვილისა

მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყისი საღამოს 7-ნახევარ ს. რეჟ. ვ. შალიკაშვილი.

კ რ ე ბ ა

დღეს, კვირას, 14 იანვარს, დილის 11 საათზე, ტფ. ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების შენობაში (ბებუთოვის და რტიშჩევის ქ. ქიმი) დანიშნულია იმ პირთა კრება, რომელნიც მოწვეულნი არიან სახლის კომიტეტთა ორგანიზაციისათვის. საჭიროა დაესწრონ, როგორც საუბნო ინსტრუქტორები, ისე სახლის ორგანიზაციათა პროპაგანდისტები.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება. 1026

ამიერკავკასიის ბანკის გამგეობა აცხადებს, რომ ბანკის ბინაზე ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქუჩა № 5, ტელ. № 5—26).

14 იანვარს 1918 წ. დღის 12 საათზე

დანიშნულია მეორეთ აქციონერთა არაჩვეულებრივი კრება

შემდეგი **საკითხების** გასარჩევად: 1) ძირითადი თანხის გადიდება და 2) განყოფილებების გახსნა.

შენიშვნა: ეს კრება, როგორც მეორედ მოწვეული, წესდებისა § 67 თანახმად კანონიერად ჩაითვლება, რამდენი აქციონერიც უნდა დაესწროს. იმავე შენობაში და იმავე რიცხვს დღის ორს საათზე დანიშნულია ბანკის აქციონერთა პირველი არაჩვეულებრივი კრება სარევიზიო კომისიის ორი წევრის ასარჩევად.

შენიშვნა: სახელდებულ აქციათა პატრონთ კრებაზე ხმის უფლება ექნებათ, თუ ისინი აღნიშნული იქნებიან ბანკის წიგნებში შვიდი დღით წინ კრებამდე. 2251

ტფილისის ქალაქის საკრებულოს დადგენილება

1) 1 თებერვლიდან პურს მისცემენ მხოლოდ **სახლის კომიტეტები** ერთი იჯრის ბარათებით. 2. იანვრის განმავლობაში სახლის კომიტეტებს პურს მისცემენ რიგს გარეშე. 3) მეპურეები ვალდებულნი არიან აუწონონ **სახლის კომიტეტებს** იმდენი, რამდენის ბარათსაც წარმოადგენენ. 4) პურის გასაყიდი ადგილები და მეპურეები ვალდებულნი არიან პურის გაყიდვა დაიწყონ დილის 6 ს. სახლის კომიტეტებისათვის მოთხოვნილებით პურს დასტოვებენ. 5) სახლის კომიტეტები მოვალენი არიან იქონიონ სიები ბინებზე მცხოვრებთა, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ ბინის პატრონები. უკანასკნელნი პასუხს აგებენ ყალბ ცნობებისათვის და ვალდებული მიზეზთვის, თუ ბარათზე არ შეატყობინებენ, რომ რომ ესა თუ ის პირი ბინიდან სხვაგან წავიდა.

შენიშვნა. ამ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის, დამნაშავენი სამართალში მიცემულ იქნებიან დებ. 29 მუხლის ძალით (კან. კრ. ტ. XV, 1917 წლ. გამ.) დროებითი მთავრობის რედაქციით. (დაბეჭდილია „ვესტნიკ ვრემენნოგო პრავიტელსტვა 1917 წლის 30 მარტს № 20.)

1024 **ტფილისის ქალაქის გამგეობა.**

1918 წლის პირველ იანვრიდან

მიიღება ხელის მოწერა ყოველთვიურ სალიტერატურო, სამეცნიერო და საპოლიტიკო ჟურნალ

„პრომეთე“-ზე.

ხელის მოწერის პირობები ჯერ-ჯერობით შემდეგია: ჟურნალი 3 თვით ღირს 9 მანეთი. ცალკე ნომერი 3 მანეთი.

სარედაქციო კოლეგია:
აკაკი შანიძე
აკაკი პაპავა
იოსებ ყიფშიძე
კოწია გამსახურდია

გამომცემელი: ისიდორე ხ. ტურუა.

პრომეთეს პირველი ნომრის შინაარსი:

1. **რედაქციის მიერ.**

ახალი მწერლობა

2. **დავით კლდიაშვილი.** მშვილდის ნუგეში.
3. **აკაკი პაპავა.** ნახშირის ხაზები.
4. **კოტე მაყაშვილი.** რომანსი.
5. **არისტო ქუმბაძე.** 19 ღვინობისთვის საღამო.
6. **ხიკო ფაშალიშვილი.** ჩასული მზე.
7. **კოწია გამსახურდია.** ბერლინი.
8. **აკაკი შანიძე.** ქართული ეროვნული ჰიმნი.

ძველი მწერლობა

9. **ლოცვაჲ წმიდისა იერემიასი** (მაქარისეული გამოცემის თანახმად).
10. **გამოსლვათაჲ** (ათონის მეათე საუკუნის ხელთნაწერის თანახმად).

სამეცნიერო განყოფილება

11. **ივანე ჯავახიშვილი.** ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII-ს
12. **კორნელი კეკელიძე.** იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან.
13. **ექვთიმე თაყაიშვილი.** ლაბეჭინის ეკლესიის სახარება.
14. **აკაკი შანიძე.** „მცა“ ნაწილაკი ძველს ქართულში.

პოლიტიკა

15. **ქ. გ.** Anno 1917
16. **ო. ტერ-გრიგორიანი.** „მშაკი“ და სომეხ-ქართველთა ურთიერთობა. (თარგმანი ა. შ—ისა).

სურათები

17. **იაკობ ნიკოლაძე.** „პრომეთეს“ პირველი გვერდი „ექსლიბრის“.
18. **ქ. ტფილისის სურათი შარდენის დროს.** ამოღებულია შარდენის მოგზაურობის წიგნიდან.
19. **ქ. გორის ციხის აგება.** მისსიონერ კასტელლის სურათი.
20 **ქუთაისის საზოგადო ბეჭდა**—სურათი მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს. ამოღებულია ახლად აღმოჩენილი ქართული რუკიდგან.

ჟურნალ „პრომეთეს“ მისამართი: ტფილისი, ფოსტის ყუთი № 190.

1022

აკაკის სახელობის საბავშვო ბაღი,

რომელიც მოთავსებულია ქართულ გიმნაზიის შენობაში მეცადინეობა განახლდა. ბავშვების მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილით 10—2 საათამდის. 1016

ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირი

იწვევს

მდივნის თანამდებობაზე

უმაღლეს იურიდიულ განათლება მიღებულ პირს, რომელიც აგრეთვე უნდა იცნობდეს კოოპერაციას, როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულადაც; საჭიროა ჰქონდეს მდივნის გამოცდილებაც.

განცხადება „კურიკულუმ ვიტე“-თი უნდა წარმოდგენილ იქმნას კავშირის გამგეობაში (ტფილისი, მიხეილის პრ., № 178).

ქართული კლუბის მამასახლისთა

ს ა ბ ჭ ო

ამით აცხადებს ამავე კლუბის წევრთა საყურადღებოდ, რომ 21 იანვარს 1918 წელს შუადღის 12 საათზე კლუბის შენობაში დანიშნულია წევრთა წლიური

საზოგადო კრება

კრების საგანია: განხილვა და დამტკიცება 1917 წლის ანგარიშისა 1918 წლის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა.

არჩევნები: მამასახლისთა და მათ კანდიდატთა, სარევიზიო კომისიის წევრთა და მათ კანდიდატთა, კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა და მიმდინარე საკითხები. 1023

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრ. შენობა, ტელეფ. 19—00.

დღეს, 14 იანვარს, გაიმართება

2 გრანდიოზული წარმოდგენა

დღით ბავშვებისთვის საღამოს პროგრამით. მონაწილეობენ კლოუნ-აკრობატები, გაწვრთნილი პირუტყვები, მოჯირითენი და სხვ. გასტროლები სერბელი ქალის ვოინის. საღამოს ჭიდაობს 5 წყვილი. ყველა ჭიდაობა გადამწყვეტია: 1. იალოვი და მჩატე „სვობოდა, 2. ჯოე-მორა და ორლიონოვ, 3. ქილინი და ახმედ—შელივანი, 4. სერბეკ როლანდი და სიმონ ჩურკინი, 5. ცნობილი სტანისლავ ზბიშკო და დევგმირი დობრინია. წარმოდგენა დაიწყება საღ. 8 საათზე, გათავდება 12 ს.

ანონსი: ახლო მომავალში გაიხსნება საზამთრო სეზონი. მოდიან ახალი ატრაქციონები. 60

მოქალაქენო!

აირჩიეთ სახლის კომიტეტები

მძიმე დროში ვცხოვრობთ, ტრანსპორტი შეწყდა და სურსათის საკითხიც უმწვერვალესამდე გამწვავდა. სურსათის მიღება რომ გაადვილდეს, აუცილებლად საჭიროა თვითეულ რაიონში მოქალაქეებმა თვითმოქმედება გამოიჩინონ. ამისთვის საჭიროა მოქალაქენი შეერთდნენ **სახლის ორგანიზაციებში**

რადგან მცხოვრებნი დარწმუნებულნი არ არიან, რომ იშოვიან სურსათს (და განსაკუთრებით **პურს**) და ეშინიან **უსურსათოდ** დარჩნენ, ისინი დუქნების გაღებამდე რამდენიმე საათის წინ რიგში დგებიან. ამ „კუდების“ თავიდან ასაცილებლად მოქალაქეთ უნდა შეადგინონ **სახლის ორგანიზაციები.**

უაზრო და უნაყოფო დგომა რიგში, საზიანოა არა მარტო კერძო ბინისთვის ან ოჯახისთვის, არამედ საზოგადოებისათვის. ვისაც უნდა ამ ბოროტებასთან ბრძოლა უნდა ხელი შეუწყოს **სახლის ორგანიზაციების კომიტეტების** შედგენას.

სხვა ქალაქებში არსებულ ორგანიზაციებმა მოსპეს ის გრძელი, გაუთავებელი „კუდები“ და ბოროტმოქმედება, სასურსათო ბარათების უკანონოდ მითვისებით რომ იყო გამოწვეული. ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ გამოცდილებით რაც შეიძლება მალე შევადგინოთ **სახლის ორგანიზაციები.**

სახლის ორგანიზაციების მიზანი ფართოა და მოქალაქეთა თვითმოქმედებას და ინიციატივისაც ფართო ხასიათს აძლევს. ეჩქარეთ, გაეცნოთ მათ და მოითხოვეთ უფასოდ სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტი და ინსტრუქციები, თუ **როგორ შეადგინოთ სახლის ორგანიზაციები.**

ვისთვისაც ხელსაყრელი არის გრძელი „კუდები“ და მოქალაქეთა აღშფოთება, ბოროტმოქმედება სურსათის დანაწილებაში ის სახლის ორგანიზაციების წინააღმდეგი იქნება. **ნუ დაუჯერებთ მათ და დაუყოვნებლივ შეუდექით სახლის ორგანიზაციების მოწყობას.**

სახლის ორგანიზაციების წესდების პროექტების, დაბეჭდილ ინსტრუქციების და განმარტებების მიღება შეიძლება საუბნო, საბარათო ბიუროში 9 საათიდან 1 საათამდე და 5—7 ს.

შეერთდით სახლის ორგანიზაციებში და აირჩიეთ სახლის კომიტეტები.

1918 წლის, იანვრის 12.

1025

ტფილისი, 14 იანვარი 1918 წ.

რუსები 27 იანვრისათვის ტფილისში რუსების ეროვნული ყრილობაა დანიშნული. ჩვენში ხშირად ამბობენ, რომ ამიერკავკასიაში სამი ერი ცხოვრობს: ქართველების, სომხების და თათრების. აშკარაა, მარტო ხსენებულ ერებით არ განისაზღვრება ამიერკავკასიის მიდამო, რაკი რუსებიც იღებენ ხმას. ყველას ძალიან კარგად მოეხსენება, რომ ამიერკავკასიაში მრავალია სხვა და სხვა წვრილი ერი და თუ რუსების ორგანიზაციას და ეროვნულად დარაზმვას ის მიზანი აქვს, რაც სხვა პატარა უტერიტორიო ადგილობრივ ერს, მაშინ—რასაკვირველია—საკითხი ვიწრო ფარგალში მოექცევა და სირთულესაც დაკარგავს. მაგრამ ჩვენის აზრით ველიკოროსებს ასეთ ფარგალში მოქცევა ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდება, საამისოდ საფუძვლიანი ნიშანიც არსებობს თუნდ ამ მიზნის დასახვით, რომელიც სხვა ადგილობრივ დიდ ერს ახასიათებს: საკუთარი ჯარის შედგენა. ველიკოროსებსაც განზრახული აქვთ საკუთარი კორპუსის შედგენა რუსულ ინტერესების დასაცავად.

გარდა ამისა, ყველა ერისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების ობიექტიურ პირობებს და ისტორიულად შემუშავებულ ტრადიციას. საიდან გაჩნდნენ ჩვენში რუსები? ოთხმოცდაათი პროცენტი რუსებისა საქართველოში და მხოლოდ მთავრობის მიერ არის მოყვანილი და თავის დროზე მთავრობამ ისინი მოაწყო შემოსავლიან სახაზინო და საზოგადო დაწესებულებათა ადგილებზე, აქა-იქ თუ ვხედავთ რუსებს სოფლად ისიც ან რუსული სოფლებია, რომელთაც არა ჩვეულებრივად კარგი, ხელსაყრელი ცხოვრების პირობები აქვთ ან და სხვა სოფელში კვლავ საადმინისტრაციო ადგილი უჭირავთ. ამ გარემოებას იმიტომ ვხსენებთ, რომ სინამდვილის დაფარვა პოლიტიკაში შეუძლებელია და უკეთესია არსებულ სინამდვილეს თვალში შევხედოთ თვალთმაქცობის მაგიერ. გარდა ამისა, რევოლიუციამდე რუსობა პოლიტიკურად და კულტურულ და გაბატონებული იყო ნ და ის ბატონობა—კულტურის სფეროში მაინც—რამოდენადმე დღესაც არსებობს. რანაირი მდგომარეობაც არ უნდა შეიქნეს მომავალში რუსობის დიდი უმრავლესობა ძალიან კარგად იგრძნობს, რომ წინანდელ მფარველობას და სასარგებლო ფავორიტიზმს დემოკრატიული მთავრობა აღარ გაუწევს და ამიტომაც რუსობის დიდი უმრავლესობა თუ შეეგუება და შვილს გახსნის ახალ ძალთა განწყობილებისადმი, ეს იქნება ანგარიშის გაწევა გარდუვალ აუცილებლობისა.

თვითონ რუსობამ ძალიან კარგად იცის, რომ კრივოშეინ-სტოლიპინი და გაზეთი „ნოვოე ვრემია“ სიტყვით და საქმით არწმუნებდნენ ყველას და განსაკუთრებით რუსობას, რომ რუსეთში და კავკასიაში ეროვნული ტერიტორიები არ არსებობენ, არის მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორია და ეს პრინციპი ვაი შიგე ჰკლავდა ყოველ ეროვნულ ოცნებას დაჩაგრულ ერებისას. ასეთ შემეცნების წიაღში სცხოვრობდა ადგილობრივი რუსობა და ამიტომაც იყო, რომ ეროვნულ აზრების განხორციელებას რევოლიუციის პირველ ხანაში იგი თვალით და უნდობლობით ხვდებოდნენ. უეჭველია ათი თვის რევოლიუციის ბობოქრობა გავლენას იქონიებდა რუსობის სულიერ განწყობილებაზე და თუ დღემდე რუსობას თავისათვის არ მიუხედნია, მხოლოდ იმიტომ, რომ ბოლო დროს იგრძნო რუსობამ, რომ რუსულ ეროვნულ საქმეს საჭიროა თვით რუსობამ მოუაროს თვითმოქმედებით, რადგან მთავრობის ფავორიტიზმი საუკუნოდ არის დამარხული. რუსობის თვითმოქმედობის და ეროვნულ დარაზმვის დაწყებას ჩვენ გულწრფელად მივესალმებით, და ეს დარაზმვა გვესმის, როგორც კულტურულ ძალების დარაზმვა პროგრესიულ მიზნებისათვის, დარაზმვა უტერიტორიო ერისა სხვა ერის ქვეყანაში. სხვა აზრი არ შეიძლება ჰქონდეს საქართველოში რომელიმე უცხო ერის კონსტრუქციას და რამდენადაც ამ ნიადაგს მტკიცედ დაიცავს რუსობის კულტურულ პროგრესიული ელემენტები, იმდენადვე შექმნიან შეურყეველ პირობებს, რათა როგორც ქართველებს და რუსებს შორის, ისე სომხებსა და რუსებს შორის, თათრებს და რუსებ შორის ჩამოვარდეს და განმტკიცდეს კეთილი განწყობილება, ძმობა და ამხანაგობა. ყოველივე ეს ძალიან ესაჭიროება როგორც ადგილობრივ ერებს, ისე რუსობის უმრავლესობას და ვიმედოვნებთ, რომ 27 იანვრის რუსების ეროვნულ ყრილობას ამ მიმართულებით ადგილობრივ ერებთან ჩამოეგდოს სრული და გულწრფელი კეთილი განწყობილება.

ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა“ ფრიად დიდმნიშვნელოვან საკითხს ეხება. სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ გაჰქრა უკანასკნელი იმედი იმ პარტიებისა და ჯგუფებისა, რომელთაც დამფუძნებელი კრების საშუალებით ჰსურდათ დაშლილი რუსეთის მთლიანობის აღდგენა. ძალა-უნებურად იძულებულნი გავხდით ჩვენი თავისთვის ჩვენ თვითონ მოგვეარა. და აი, დაიბადა აზრი ამიერკავკასიის საოლქო სეიმისა, რომლის შესახებაც გაზეთი „ერთობა“ სწერს:

რა უნდა გააკეთოს ამ სეიმმა? უპირველეს ყოვლისა მან უნდა ეცადოს შექმნას ერთი **ძლიერი ცენტრი ამიერკავკასიისათვის,** რომ ამ გზით გავაძლიეროთ ადგილობრივ რევოლიუციის ბურჯი, შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, რომ, თუ ვინიცობაა ჩრდილოეთში რეაქცია გაიმარჯვებს, ჩვენ საშუალება გვქონდეს ამ რეაქციის მოსვლა მოვიგერიოთ.

რა გზით შეუძლია ეს სეიმს?

სეიმს არ ექნება ხელთ საამისოთ მოწყობილი ორგანიზაცია, საკმაო რეალური ძალა. ამისთვის სეიმი მოახდენს ეროვნებათა შორის გადამიჯვნას, ამიერკავკასიის ეროვნულ ერთეულების გამოჰრას. თვითეული ეროვნება განსაზღვრულ ტერიტორიაზე შეადგენს ადგილობრივ თვითმართველურ ერთეულს და ამ ტერიტორიაზე შეუდგება შინაურ ცხოვრების მოწყობას. რაც მთელი ამიერკავკასიისთვის იქნება საჭირო და მნიშვნელოვანი, ყველაფერი ეს სეიმის ხელში მოიყრის თავს, ხოლო რაც ადგილობრივ მნიშვნელობის საკითხები იქნება—ეს ტერიტორიალურ თვითმმართველობების ხელში დარჩება.

ამ რიგათ ჩვენ ვიწყებთ იმ ეროვნულ პროგრამის ცხოვრებაში გატარებას, რომელიც ჩვენს პარტიულ ყრილობაზე იქნა მიღებული.

რასაც გაზეთი „ერთობა“ სწერს, ძალიან კარგად გვესმის, მაგრამ რასა ნიშნავს გეგეჭკორისა და კომპ. გამოლაშქრება ეროვნული საბჭოების წინააღმდეგ? ნუ თუ ასეთი წაჯიქ-უკუჯიქობით შეიძლება ან ეროვნულ-ტერიტორიალური თვითმმართველობის შექმნა და ან ისეთი ავტორიტეტული ცენტრისა, რომელიც სარევოლიუციო წესიერების დამყარებას მოახერხებს? იმ გზით, რომელნიც გეგეჭკორს აურჩევია უკვე შეუძლებელია დასახული მიზნის მიღწევა. შეუძლებელია იმიტომ, რომ გეგეჭკორი ჩვენი ცხოვრებიდან უკვე გარიყულ ძალას ემყარება. ეროვნული საბჭოები ცხოვრებამ წარმოშვა და, ვინც იმის წინააღმდეგ გაილაშქრებს, ის იძულებული გახდება ან ცხოვრებიდან გარიყული დარჩეს, ან ისეთს ძალას დაემყაროს, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ამიერკავკასიის ერთა სარევოლიუციო ინტერესებთან.

ორივე შემთხვევაში გეგეჭკორის გამოლაშქრება ეროვნული საბჭოების წინააღმდეგ საშინელ პოლიტიკურ სიბეცედ უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს დამფუძნებელი კრება

ანარქიის შავი აჩრდილი დიდი ხანია თავს დასტრიალებდა საქართველოს, მაგრამ ეს აჩრდილი ისეთი საშიში არასოდეს არ ყოფილა, როგორც დღეს. ჯერ საქართველო თითქოს გადარჩენილია ამ ანარქიას, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რანაირი რკინის სარტყელი ერტყმება ჩვენს სამშობლოს, დავრწმუნდებით, რომ საბედისწერო მომენტის წინაშე ვდგევართ. მაგრამ მომენტის სიმწვავეს იგევე ვერა გრძნობს საქართველოს ფართო მასსა, როგორც პოლიტიკური წრეების სათავეში მყოფნი. მოდუნებულია მთელი ჩვენი სიცოცხლე და მოდუნებულია იმიტომ, რომ არ არსებობს ის საერთო სახელმძღვანელო მიზანი და იდეალი, რომელსაც შეუძლიან ერის სასიცოცხლო ძალების ამოძრავება და აღფრთოვანება. მართვა-გამგეობას სათავეში მდგომ ელემენტთა საერთო სუსტი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ვერა ჰხედავენ, რანაირად იცვლება სულიერი განწყობილება ხალხის ფართო მასაში. საქართველოს დღევანდელ მესვეურებსაც სრულიად ეპარებათ მხედველობიდან, როგორ **იზრდება** ჩვენი ეროვნული ორგანიზმი, როგორ იქსოვება საორგანიზაციო სიმტკიცე და როგორ შორდება ერთმანეთს ცხოვრება და მართვა-გამგეობა.

დადგება ისეთი დრო, როდესაც საქართველო თავის ანაბარად დარჩება, იგი იძულებული გახდება თავის თავს თვითონ მოუაროს, მაგრამ იგი ამას ვერ მოახერხებს, რადგანაც აღარ იქნება იდეა საქართველოსი. ეს უკანასკნელი მოვლენა ჩვენი ცხოვრების უდიდეს ტრაგედიად მიგვაჩნია, ისეთ ტრაგედიად, რომელიც შეუძლებლად გახდის არა მარტო საქართველოს პოლიტიკურ აღდგენას, არამედ მას ფიზიკურ დაცვასაც კი. ჩვენში ზოგნაირი სარევოლიუციო ორგანიზაცია არსებობს, მაგრამ, მიუხედავად მათი დიდი მნიშვნელობისა, ჩვენი ხალხისთვის მაინც მიუწდომელი არიან. ეს სარევოლიუციო ორგანიზაციები უმეტეს წილად დიდს ცენტრებში არიან თავმოყრილნი და შესამჩნევ კვალს ვერა სტოვებენ ქართველი ხალხის ფართო მასაზე. გარდა ამისა, არც ერთი მათგანი საქართველოს პოლიტიკური იდეას მატარებელი არ არის. ამიტომ განსაცდელის ჟამს, როდესაც საჭირო გახდება მთელი საქართველოს ამოძრავება, როგორც ერთი სხეულისა, ჩვენ ამას ვერ მოვახერხებთ.

შეიძლება გვითხრან, არასოდეს საჭირო არ იქნება ასეთი ამოძრავება, საქართველოს არასოდეს არ დასჭირდება გამოსვლა, როგორც ერთს პოლიტიკურ ერთეულსაო ჩვენა გვგონია, რომ დღევანდელ პირობებში ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ამას ვერ გაბედავს და ვერ იტყვის. მას შემდეგ, რაც დაითხოვეს სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრება, მას შემდეგ, რაც ჩვენ წინაშე სდგას გადასაწყვეტად უდიდესი საკითხი ომისა და ზავისა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ცეცხლითა და მახვილით უახლოვდება ანარქია, მას შემდეგ, რაც თავს დაგვჩხავის კარზე მომდგარი შიმშილობა,—ყველა ამის შემდეგაც თუ საქართველო არ ამოძრავდა, როგორც მთლიანი სხეული, მაშინ ჩვენ ერი არა ვყოფილვართ და ჩვენი ქვეყნის ბედიც ცხოვრების ბრმა სტიქიონს უნდა მივცეთ.

საქართველო მარტო ტფილისი არ არის. აქ, ტფილისში, ამიერკავკასიის ბიუროკრატიულ ცენტრში, იხლართება ათასნაირად სხვა და სხვანაირი ინტერესი და ჩვენი ქვეყნის მესვეურნიც ნებსით და უნებლიეთ ამ გადახლართულ-გადმოხლართული ინტერესების მსხვერპლნი ჰხდებიან. სწორედ ტფილისია, ბურუსსა და ჯანღში რომ ახვევს საქართველოს მთლიანობის იდეას და საზოგადოდ საქართველოს იდეას. აქ, ამ ყოფილ ბიუროკრატიულ ცენტრში მუშავდება სახელმძღვანელო აზრები, განსაზღვრული სულიერი განწყობილება და სწორედ აქ ეკვეთება თავი საქართველოს მთლიანობას. მაგრამ, როგორც ზევითაც ვსთქვით, საქართველო მარტო ტფილისი არ არის. საკმარისია ცოტა ზევიდან დავხედოთ ჩვენს ცხოვრებას, საკმარისია ცოტა ხანს მაინც თავი გავინთავისუფლოთ ძველი რუსეთის მიერ ნაანდერძევი ბიუროკრატიული ტრადიციებისაგან, რომ ჩვენ თვალწინ გადაიშალოს ნამდვილი სურათი საქართველოსი, დატანჯული, გავერანებული და უპატრონოდ დარჩენილი საქართველოსი.

აი სწორედ ამ საქართველოს სჭირია პატრონობა, სწორედ ამ საქართველოს სჭირია გაერთიანება და სასიცოცხლოდ ამოძრავება. ამას კი მხოლოდ საქართველოს დამფუძნებელი კრება შესძლებს, კრება, რომელიც ქართველი ერის ნებისყოფას გამოჰხატავს და დააგვირგვინებს საქართველოს სხეულს ორგანოთი, რომელიც ერთად-ერთი უზენაესი ბატონ-პატრონი გახდება ჩვენი ქვეყნისა.

საქართველო დღეს უკომპასო ხომალდს მოგვაგონებს. ცხოვრების აბობოქრებული ტალღა დააქანებს მას უსაზღვრო ზღვის სივრცეზე და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა მგზავრებმაც არ იციან, რომელ კლდეს მიაჯახებს ამ ხომალდს აზვირთებული სტიქიონი. შესცქერის ხომალდის უფროსი ცას და მოუთმენლად ელის ღრუბლების გაფანტვას, რომ ვარსკვლავებმა მაინც გაუნათონ გზა, ძნელი სავალი. ჩვენ ცხოვრებასაც ესაჭიროება ასეთი ვარსკვლავი. როდესაც პოლიტიკური ჰორიზონტი შავი ღრუბლებითაა მოცული, როდესაც მიწასაც კი თითქმის თავისი სიმტკიცე ეკარგება და თამამად ვერ გადაგვიდგამს ნაბიჯს,—საჭიროა ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს ცაზე გამონათოს ვარსკვლავმა, რომელიც ცხოველმყოფელ იმედს აღუძრავს მთელს საქართველოს და მისცემს ძალას უკეთესი მერმისისთვის ბრძოლაში...

არ. ჯაჯანაშვილი.

ჩვენი მენშევიკები და ეროვნული საბჭოები

ძლიერ მალე მართლდება ჩვენი ეჭვები სოც.-დემ. შესახებ. ბევრს მეტად გულუბრყვილოდ უხაროდა, რომ ამ პარტიამ, რომელსაც დღემდე ხელთ შერჩა სადავე ჩვენის პოლიტიკურის ცხოვრებისა, თვისი შაბლონი გზა დასტოვა და ცხოვრების სინამდვილეს ფხიზლად შეხედა, რომ მან ანგარიში არ გაუწია დოგმის შელახვას და რევოლიუციის, რუსეთის სინამდვილის შეფასებას სწორის გზით მიუდგა. მაგრამ ჩვენს ფანტაზიას მალე შეაკვეცა ფრთები სინამდვილემ, და დღეს თამამად შეგვიძლია აღვიაროთ, ზოგთა იჭვებმა გზახსნილი ჰპოვეს, რომ სოც.-დემ. მარტო ტყავი გამოიცვალა, მას გული და რწმენა ძველი შერჩა და ამ ტყავსაც მალე შორს გადისვრის.

ადგილობრივ ცენტრების შექმნის, პერიფერიების გამაგრების საკითხი მწვავედ დააყენა რევოლიუციამ. ან ჩაყოლა და ჩათრევა სრულიად რუსეთის ანარქიაში, ან ეროვნულ პოლიტიკურ ერთეულების შექმნით გადარჩენა რუსეთის მთლიანობისა. ფედერაციის საკითხი მორიგი შექმნა და სოც. დემ., რომელიც თეორიაში ებრძოდა ამ ფედერაციას, თითქოს სინამდვილეში მის პირველ საფეხურზე აკიდა, ეროვნულ ერთეულების ჩამოყალიბება დაიწყო. სხვა ერთა სოც.-დემ. გზა თითქოს არც ჩვენს მენშევიკებს ეუცხოვათ და სწორად შეაფასეს მომენტი, მაგრამ, ვიმეორებ, გამართლდა ჩვენი ამხანაგების სკეპტიციზმი.

არ ვიცი-რა შეიცვალა ამ ხანებში მაგრამ ის ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ.-კავ. ცენტრის კრებაზე 12 იანვარს, აშკარად მოწმობს, რომ ჩვენი მენშევიკები ოდნავაც არ ჩამოშორებიან ძველ შაბლონ გზას. მე მინდა მკითხველს ამ ფაქტზე მიუთითო, რომ მან სათანადო ანგარიში გაუწიოს საფრთხეს, რომელსაც კვლავინდებურად უმზადებენ ჩვენი ერის პოლიტიკურ სხეულის შექმნას სოც.-დემ.

ცენტრში მორიგ საკითხად დაისვა: რუსეთის დამფუძნებელ კრების გარეკა და ამ.-კავკ. მთავრობის შექმნა. თითქოს ბავშვისათვისაც კი ნათელია ის აზრი, რომ რუსეთის დამფუძნებელ კრების შეუძლებლობა რადიკალურად სვამს საკითხს ადგილობრივ ეროვნულ დამ. კრებათა მოწვევისას და ეროვნულ პოლიტიკურ ერთეულებით რუსეთის და რევოლიუციის მთლიანობის განმტკიცებისას. ჩვენაც გვეგონა, რომ თუ რევოლიუციის მსვლელობის ტენდენციას ბოლოს ვერ აუღებდენ ჩვენი მენშევიკები, კუდში მაინც მისჩანჩალებდნენ მას, წინ მაინც არ გადაეღობებოდნენ ამ ტენდენციას.

მაგრამ მწარედ მოვსტყუვდით... წუთით შევჩერდეთ ამ.-კავკ. კომისარიატის წარმომადგენლის გეგეჭკორის სიტყვებზე. იგი მოითხოვს ახალ მთავრობის შექმნას ამ.-კავკ. ტერიტორიაზე არჩეულ დამფ. კრების წევრებისაგან და აუცილებლად სცნობს, რომ ამ მთავრობის ძალა ურყევი და მტკიცე იყოს, რომ მისი ავტორიტეტი არ წაეგდებს ამ.-კავკ. არსებულ მთავრობისას; რომ იგი მტკიცე ნებით და უფლებით იყოს აღჭურვილი, რომ ამით შესძლოს გაერთიანება ამ.-კავ. დემოკრატიის ფრონტისა და მის ცენტრალ მთავრობის განმტკიცებისა. რა უშლიდა ამ საქმეში არსებულ კომისარიატს? ალძრავს კითხვას მენშევიკი გეგეჭკორი და ისეთ პასუხს იძლევა, რომელიც არც სინამდვილის შეფასებასთან სდგას ახლოს და არც ძალთა განწყობას არკვევს ოდნავ, მას დიამეტრალურად საწინააღმდეგო დასკვნა გამოჰყავს და ამას იაშმაგებით ტაშს უკრავს მენშევიზმის წვრილ-ფეხობა. ჩვენ ვდგევართ, ამბობს გეგეჭკორი, მთავრობის ისუსტების, მისი ძალა-უფლების დატაცების წინ, რამაც არევ-დარევა შეიტანა ჩვენს ცხოვრებაში, და ვინ შექმნა ყველა ეს? სხვა და სხვა ერების პოლიტიკურმა ორგანიზაციულმა მუშაობამ, მათმა მაღალმა დაწესებულებებმა, როგორიც არიან ეროვნული საბჭოები, უკანასკნელნი კონკურენციას უწევდენ ამ.-კავ. კომისარიატს, გლეჯდნენ მას ხელიდან უფლებას, იკრებდნენ. თავის ირგვლივ მატერიალურ და რეალურ ძალებს და ჩვენი პოზიცია თან და თან სუსტდებოდა, პრესტიჟი ეცემოდა, შეიქმნა რამდენიმე სუვერენული ერთეული ამ.-კავკ. ტერიტორიაზე და ამან მოამწიფა კრიზისი შექმნა საფრთხე, წარმოშვა პოლიტიკურ-ფინანსიური ანარქია, დღეს საჭიროა ერთი მტკიცე ორგანო ამიერ-კავკას. და რევოლიუციის გადარჩენის ინტერესი მოითხოვს მთელი ძალა-უფლება ამიერ-კავკ. მმართველობის ხელში იყოს. დასკვნები აქ მეტი იყო, სიტყვები მეტად გამჭვირვალე შეიქმნა, რომ მას კომენტარიები დასჭირვებოდა, მაგრამ პატარა კაცებს ფრთა აესხათ და ჯუღლები ამ დასკვნებს აღრმავებენ, კომენტარიებს ფართოდ გარდაშლიან. ბრძოლა ეროვნულ საბჭოებთან, განიავება ეროვნულ პოლიტიკურ ერთეულთა ჩანასახისა; აი, მორიგი საკითხი კავკასიის დემოკრატიისა. ამიერკავკ. ძლიერ მთავრობის, სრულუფლებიან ცენტრის შექმნა, აი, დასკვნები, რომელსაც არ მოერიდა მენშევიზმის წვრილფეხობა.

და ასეთ კრიტიკულ მომენტში კამათს სხვები, ჩვენ საშუალებას არ გვაძლევენ ამ იაფფასიან და სახიფათო არგუმენტაციის დასარღვევად. ეს ფაქტი აღმაშფოთებელია, მაგრამ ფრიად დამახასიათებელი ჩვენი მენშევიზმისა.

პატარა კერენსკები, რომელთაც მუშტი მოუღერეს ეროვნულ მოძრაობას, ჯერ ვერ გადურჯულებია რევოლიუციას ჩვენში. სამწუხაროა, რომ ასე აფასებს მომენტს ამიერკავკ. მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი გეგეჭკორი. თუ ამ პოლიტიკურ კურსს აწარმოებდა იგი დღემდე, საკვირველია—როგორ შერჩა ამიერკავკ. მთავრობას რაიმე ძალა და რაიმე ავტორიტეტი. ეროვნული პოლიტიკური ერთეულები დღეს ფაქტია, რევოლიუციით წამოყენებული, სფერო მისი გავლენისა იზრდება და ჯუღლების ფრაზეოლოგიაში ვერ მოთავსდება იგი. ამას უნდა მიმხვდარიყო გეგეჭკორი და უნდა ცდილიყო არა ბრძოლით, არა ომის გამოცხადებით განემტკიცებინა ამიერკავკ. კომისარიატის ძალა, არამედ შეთანხმებით, დაკავშირებით.

მას უნდა გაემიჯნა ფუნქციები კომისარიატს და ეროვნულ საბჭოების და კომპეტენციების განაწილებით, ერთგვარი ჰარმონია შეექმნა ამ ორგანოთა განწყობილებაში.

დროა დღეს მაინც შეიგნონ ის შეცდომები, რომლებმაც ძირი გამოუთხარა კერენსკი-წერეთლის მთავრობას რუსეთში. ვისაც შეუძლიან კიდევ მოლიპულ გზით იაროს და ეროვნულ ერთეულების შექმნას ებრძოლოს, მას ცხადია, არ ესმის დღის ვითარებ ნუ თუ არ იცის გეგეჭკორმა, რომ სომხების მასსა [illegible] ტერიტორიტულ ერთეულს საბჭოს, რომ ასეთი [illegible] და ესენი ბრძვის მისცემენ უფლებას მათ შინაურ საქმეებში ჩაერიოს და ნებაზე მართოს? და განსაკუთ მას მართებს ამის გაგება, ჩვენი ქვეყნის საფრთხეს თა ასაცილებლად რეალურ ძალას—ჯ გაცხოველებას მოითხოვს, ამ სა კი მარტო ეროვნული საბჭოები აგვარებენ. მაშ ვის ეყრდობა ცენტ ლისტი გეგეჭკორი, ამიერ-კავკას მთავრობის წარმომადგენელი, თუ ა ამიერ-კავკასიის ერთა ნებას, რომლი განსახიერება დღეს ეროვნული საბჭოებია? ან შეიძლება მას სომხებთან და თათრებთან ბრძოლა უნდა, რუსის ჯარის კაცის ხიშტს დაეწყოს, მაგრამ მან, მგონია, კარგად იცის რამდენად სახიფათოა ეს ხიშტი. მე განგებ არაფერს ვლაპარაკობ ქართველობაზე, რადგან ჩვენი მენშევიკები საქართვ. დემოკრატიის ბატონ-პატრონად თვის თავს აცხადებენ.

რადგან მათ უნდათ ჩვენი ერი რევოლიუციის პირველ დღეების გზებს სტკეპნიდეს, მაგრამ ამიერკავკასიის დანარჩენ ერთა პოლიტიკური ჩამოყალიბება ხომ ფაქტია და ეს ფაქტი საქართველოს პოლიტიკურ იზოლიაციის საკითხსაც რეალად ხდის და თუ მართლა სურს ჩვენს მენშევიკებს ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულის შექმნა, მათ უნდა იცოდენ საზღვრები ამ ერთეულის სალა-უფლებისა, უნდა იცოდნენ რამდენადაც ომს გამოუცხადებენ ეროვნულ საბჭოებს, იმდენად ჩამოიშორებენ სხვა და სხვა ერის დემოკრატიას და იმ ბუნებრივ კავშირსაც კი გამოაცლიან ნიადაგს, რომელიც დღეს საბედნიეროდ კიდევ სჩანს... და მაშინ, როცა რუსის ჯარის კაციც თვის პროგრამას განახორციელებს—სახლამდე მიაღწევს, ვის უნდა დაეყრდნოს გეგეჭკორი და ამიერკავკასიის მთავრობა?

ეროვნული საბჭოები დღეს რევოლიუციის მონაპოვარია და ვინც მათ ებრძვის, ჩვენ პირდაპირ ალვძრავთ საკითხს: ვის ემსახურება იგი—რევოლიუციას, თუ კონტრ-რევოლიუციას? ჩვენი პოლიტიკური და ფიზიკური არსებობის უზრუნველყოფა შე [illegible] მარტო ამ საბჭოების განმტკიცე და ამიერკავკასიის მთავრობაც გამტკიცების სინტეზი უნდა იყოს. თუ რევოლიუციამ ოდნავ ვერ წასწია წინ ჩვენი მენშევიზმი და ვერ გაშალა მისი ვიწრო ჰორიზონტი?.

აკ. პ—ძე.

ზავის გარშემო

საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში.

თითქმის იმავე ხანებში, როდესაც ვილსონმა და ლლოიდ ჯორჯმა თავისი საზავო პროგრამები წამოუყენეს, საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში გარეშე საქმეთა მინისტრმა სტეფან პიშონმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ომის მიზნების საზავო პირობების შესახებ.

საფრანგეთის მინისტრი ხაზს უსვამდა საფრანგეთის და მოკავშირეთა ვალდებულების ჩაგრულ ერების მიმართ და ამტკიცებდა, რომ საფრანგეთს არ შეუძლია თავისუფლების და სამართლიანობის ტრადიციებს უღალატოს. მან აღნიშნა, რომ ეს ტრადიციები შეეხება, როგორ სომხებს, ასურელებს და ლივანელებს, აგრეთვე საზოგადოდ ყველა იმ ერს, რომელიც მისი ნების წინააღმდეგ ჩაგრულთა უღელ ქვეშ იმყოფება. როგორიც არ უნდა იყოს ეს უღელი. ყველა ამ ერს აქვს უფლება ისარგებლოს საფრანგეთის სიმპატიებითა და დახმარებით. სტ. პიშონი მიესალმა პალესტინის განთავისუფლების, ხოლო არა როგორც ინგლისის ან საფრანგეთის გამარჯვებას, არამედ როგორც გამარჯვებას მთელ განათლებულ ქვეყნისას. მისი აზრით ამ გამარჯვებამ განათავისუფლა პალესტინის ერები იმ უღლისაგან, რომელიც მათ აწვა და იმედი მისცა მათ თავისუფლების საერთაშორისო რეჟიმით სარგებლობისა, პიშონმა გაიხსენა საფრანგეთის ტრადიციული უფლებები სირიაში და სიამოვნებით შეჩერდა იმ განსაკუთრებულ უფლებებზე, რომელიც აღიარებულია ტრაქტატში. ეს ის უფლებაა რომელიც ავალებს დაეხმაროს იმ ერს, რომელსაც უფლება აქვს ამაზედ რომელიც შეკავშირებულია მასთან თავისი წარსულის ბრწყინვალე ტრადიციებით.

გერმანიის ზომიერი პარტიები

გერმანიაში, რეიხსტაგის ზომიერმ პარტიებმა კვლავ აღძრეს საკითხ კოალიციასთან საზავო მოლაპარაკების გამართვის შესახებ ურუსეთოდ! მათ აზრით, ეხლა ხელსაყრელი მომენტ დადგა ამისთვის: რადგან რუსეთ შინაგანი მდგომარეობა არეულია.

საფრანგეთი და იტალია.

საფრანგეთსა და იტალიაში, რ გორც გადმოგვცემენ ძლიერდება ახ ლი მიმართულება, რომელიც მოით ხოვს, რომ განხილულ იქმნას გერმ ნიის ახალი წინადადება.

უკრაინაში.

უკრაინის რადის შტაბი საბოლ ოდ შეუერთდა გენერალ შჩერბაჩოვ შტაბს. თანახმად მომხდარ შეთანხმ ბისა სამხრეთ-დასავლეთის ლაშქრ და რუმინიაში მყოფ რუსეთის ლაშ რის რადიოტელეგრაფი უკრაინულ ჯარის ხელშია. ნაყოფიერად სწარ მოებს უკრაინის თავისუფალი ყაზახ ბის მობილიზაცია. უკრაინელი ცნ ბებით უკრაინის გარშემო დიდძალ ყაზახობა იყრის თავს.

მეორე რევოლიუცი

ინგლისის ახალი ელჩი პეტროგრადში.

სტოკჰოლმიდან იუწყებიან: ბიუკენენის მაგიერ პეტროგრადში ინგლისის ელჩად მუშათა პარტიის ლიდერი ჰენდერსონი დაინიშნა.

სასურსათო კრიზისი მოსკოვში.

სასურსათო კრიზისი მოსკოვში კატასტროფულ ხასიათს ღებულობს. პურის რაციონი თითო სულზე დღეში მეოთხედ გირვანქამდე შეამცირეს.

იარაღის აყრა.

სიზრანში მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებმა იარაღი აჰყარეს

პოლკს: ციმბირის მე-7 მსროლელთა და მე 13, 14 15 ორენბურგის პოლკებს.

ახალი კორპუსი დონის ოლქში.

ნოვოჩერკასკს მრავალი ოფიცერი და იუნკერი მოაწყდა. მათგან დგება ახალი, საგანგებო კორპუსი.

ურალის თავდაცვის თათბირი.

ურალის თავდაცვის თათბირმა, რომელიც ციმბირსა, შორეულ აღმოსავლეთსა და ურალში მოხდარ ამბების გამო მოხდა, უნდობლობა გამოუცხადა ძველს ბიუროს და ახალი აირჩია. ახალ ბიუროში უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენენ.

ბოლშევიკები კიევში.

ხმები, რომ კიევში ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს, მართალი არ გამოდგა.

უპურობა.

ალტაის რკინის გზამ უარი სთქვა რუსეთში პურის შემოტანაზე, რადგან ვაგონები და ორთქლმავლები არ ჰყოფნის.

დამფუძნებელი კრების გარშემო

გაფიცვა დაწესებულებებში.

პეტროგრადში, პროტესტის ნიშნად გაიფიცა მთავრობის ყველა დაწესებულება და აგრეთვე საზოგადო დაწესებულებები.

სახალხო კომისარები და გაფიცულნი.

სახალხო კომისარების საბჭომ ხალხის მტრად გამოაცხადა პეტროგრადის სასურსათო გამგეობის ყველა გაფიცული მოსამსახურე.

კადეტების პარტია.

კადეტების პარტიამ, პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წინადადების ძალით უარი სთქვა წევრების გაგზავნაზე დამფუძნებელ კრებაზე. კადეტ-დეპუტატების პეტროგრადში წასვლის წინააღმდეგი იყო განსაკუთრებით მილიუკოვი.

ტროცკის განცხადება დამფუძნ. კრების გარეკის შესახებ.

დამფუძნებელი კრების გახსნამდე ტროცკიმ განუცხადა უცხო სახელმწიფოთა კორესპონდენტებს, რომ ხმები, თითქოს სახალხო კომისართა საბჭო დამფ. კრების გარეკას აპირებდეს, ცილისწამება არისო. პირიქით, მიღებული იქნება ყოველგვარი ზომა, რომ მისი მუშაობა წესიერი კალაპოტით სწარმოებდესო.

ახალი რაზმი სახ. კომისარების დასაცავად.

ეკატერინბურგის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ წითელი რაზმი გაგზავნა პეტროგრადში სახალხო კომისარების საბჭოს განკარგულებაში.

ამხანაგებო!

მოითხოვეთ დაუყოვნებლივ ზავი.

მოითხოვეთ საქართველოს დამფუძნებელ კრების მოწვევა და ერთა ავტონომიების ძმური კავშირი!

ახალი ამბავი

◆ **ქართული უნივერსიტეტი.** გუშინ, ქართული უნივერსიტეტის პროფესორებს სხდომა ჰქონდათ. უნივერსიტეტს რექტორად აირჩიეს პროფესორი პ. მელიქიშვილი, სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის დეკანად პროფესორი ივ. ჯავახიშვილი, ხოლო გამგეობის მდივნად პროფესორი ი. ყიფშიძე. ამას გარდა განიხილეს წესდებისა და საორგანიზაციო საკითხები.

◆ **საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან დაარსდა ჯანმრთელობის სექცია**, რომლის გამგედ დანიშნულია აღმასრულებელ კომიტეტის წევრი პ. საყვარელიძე. სექციამ აირჩია პრეზიდიუმი, რომელშიაც შედიან ექიმები: ს. ვირსალაძე, ვ. ღამბაშიძე, ვლ. მახვილაძე, ნ. მელიქიშვილი და ზ. მიქელაძე. ექიმი ს. ვირსალაძე არჩეულია სექციის თავმჯდომარედ. სექციამ გადასწყვიტა 10—15 მარტისათვის მოიწვიოს ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებასთან შეთანხმებით ქართველ ექიმთა, საშუალო სამკურნალო პერსონალისა და სანიტართა ყრილობა.

◆ **საქართველოს ეროვნ. საბჭოს ხელოვნების სექციაში.** 12 იანვარს ვლ. გომეჩიას თავმჯდომარეობით შესდგა მეორე კრება ხელოვნების სექციისა. კრებამ დაადგინა: 1. დაევალოს გამგეობას სექციის სრული კონსტრუქციისათვის ეთხოვოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს გამოგზავნოს პარტიის წარმომადგენლები სექციაში მონაწილეობის მისაღებად. 2. დაევალოს გამგეობასვე შემდეგ კრებისათვის მოიწვიოს საგანგებოდ სპეციალისტები საქართველოს დროშისა, ღერბისა და ეროვნულ სხვა ემბლემათა შესამუშავებლად; 3. მიეწეროს ხელოვნების საზოგადოებათა ყველა გამგეობებს წარმოადგინონ სექციაში ხარჯთაღრიცხვა და მოქმედების ანგარიში განსახილველად და შემდეგში საბჭოში წარსადგენელად, 4. სახელმწიფო თეატრის ანტრეპრიზის შესახებ კრებამ იქონია თათბირი და აირჩია კომისია, რომელსაც დაევალა შესაფერი ნაბიჯების გადადგმა. გარდა ამისა კრებამ საბოლოოდ დაამტკიცა სექციის დეკლარაციის ტექსტი და ძირითადი დებულებანი.

◆ **ტყვეთა განთავისუფლება.** ოსმალეთის ფრონტზე, როგორც მთავარსარდალი იტყობინება შეიძლება ეროვნულ საბჭოთა თავდებობით.

◆ **რუსთა ნაციონალური ყრილობა**, როგორც გამოირკვა, 27 იანვარს აღარ შესდგება, იგი გადაიდო, რადგან ტეხნიკური სამუშაო არ მოთავებულა.

◆ **შერიფხანის საკონსულო იტყობინება** რომ მომავალმა ჯარმა აიკლო ბაზარი 68 დუქნიდან განადგურებულია 23.

◆ **ნათლიმცემლის მონასტერს.** თავს დასხმიან ვიღაც უცნობი პირნი და დაუწყვიათ თარეში. შეშინებული ბერები გამოქცეულან ს. ხაშმში და დახმარება უთხოვნიათ სოფლელებისათვის.

◆ **დეპუტაცია.** ს. ხაშმიდან ჩამოვიდა დეპუტაცია ხაშმელ გლეხთა და საქ. ეროვნულ საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა, იარაღი მოგვეცით ადგილობრივ რაზმის შესადგენად ყოველ მოსალოდნელ საფრთხის ასაცილებლად და რევოლიუციის დასაცავად.

◆ **ქართველ სტუდენტთა სამეურნეო საზოგადოების** გამგეობა, დღეს ნაშუადღევის 4 საათზე იწვევს საზ. სექციათა თავმჯდომარეების კრებას, ფრეილინის ქუჩაზე № 11.

◆ **ქალაქის საბჭოს** კრება 15 იანვარსაა დანიშნული, სხვა საქმეთა შორის მოხსენდება საღმრთო სჯულის გაუქმების შესახებ ქალაქის სკოლებში უფროს მილიციონერთა ტანისამოსის სასყიდლად სესხის აღება 37 60 მანეთისა, და 180 ათას მანეთის სესხის აღება ქალაქის ხარჯების დასაფარად

◆ **ზონებს ამიერკავკ. კომისარიატი** გამოუშვებს უეჭველად 1 თებერვლამდე.

◆ **სასკოლო სექციის გამგის** ამხანაგად საქ. ეროვნ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა დაამტკიცა ვარლამ ბურჯანაძე, ხოლო საქმის მწარმოებლად ქ ნი ხარებაშვილი.

◆ **შუამდგომლობა** კავკ. ადგილობრივ ცენტრის გლეხთა დელეგატებისა ნივთიერ დახმარების შესახებ, საქ. ეროვ. საბჭოს აღმასრულ. კომიტეტმა უყურადღებოდ დასტოვა.

◆ **ქართულ უნივერსიტეტის გახსნა.** ქართული უნივერსიტეტი ამ თვის 26 იანვარს იხსნება. რექტორად პროფ. მელიქიშვილს ასახელებენ.

◆ **ქართულ გიმნაზიის შენობის ბედი,** ის შენობა განოვის ქუჩაზე რომელიც ტფ. გუბერნიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებას ეკუთვნის საჯაროდ იყიდება. ამის გამო საქ. ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომაზე გ. მ. გვაზავამ წაიკითხა მოხსენება, თუ რა სახით უნდა მოხდეს ამ შენობის ლიკვიდაცია. კომიტეტმა ეროვნულ საბჭოს ქონებათა სექციას გადასცა ეს საკითხი განსახილველად და დასკვნის გამოსატანად.

◆ **სახელმწიფო სესხის კუპონები** ქალაქის გამგეობამ აცნობა ყველა თვის კასებს რომ სხვა ფულთან თანაბრად მიიღონ ხოლმე აგრეთვე კუპონები თავისუფალ სესხისა, რომელთაც ვადა აქვთ გასული.

◆ **სასწავლებლების შენობების დათვალიერება.** ქალაქის კომისიამ რომელიც არჩეული იყო ქალაქის სკოლების იმ ბინების დასათვალიერებლად, სადაც ჯარები იდგა, შეასრულა დავალება. თითქმის ქალაქის ყველა სკოლებში ადვილად შესაძლებელია სწავლის დაწყება, რადგან ყველა შენობებიდან მხოლოდ 3 შენობაა დაჭერილი ვაჟთა 1 და 2 გიმნაზია და 1 საკომერციო სასწავლებელი.

◆ **ამიერკავკასიის აქციონერთა კრება.** დღეს, 14 იანვარს დღის 12 საათზე, ამიერკავკასიის ბანკის ბინაზე (ლორის-მელიქოვის ქ. № 5) დანიშნულია მეორეთ აქციონერთა არა ჩვეულებრივი კრება შემდეგი საკითხების გასარჩევად: 1) ძირითადი თანხის გადიდება და 2) განყოფილებების გახსნა.

◆ კვირას, 14 იანვარს დილის 10 საათზე, საბურთალოს სახალხო თეატრში, დანიშნულია საზოგადო კრება. საბურთალო-ახალშენის ახლად დაარსებული უფასო სამკითხველოს პოლა ლომთათიძის სახელობაზე დღიური წესრიგია: 1) გამგეობის არჩევნები, 2) ბიბლიოთეკის გახსნა, 3) წევრების ჩაწერა. ამავე კრებაზე ვსთხოვთ საბურთალოს ქართული წარმოდგენების მმართველ წრის წევრებს მობრძანდნენ კრებაზე, რადგანაც 7 იანვარს კრება არ შესდგა წევრების დაუსწრებლობის გამო.

◆ **ახალი ქართული ჟურნალის** „პრომეთეს“ პირველი ნომერი გამოვა ტფილისში დღეს, კვირას 13 იანვარს. ჟურნალის რედაქცია სთხოვს აგენტებს ხელის მომწერთა სია და ანგარიში წარმოადგინონ „სახალხო საქმის“ რედაქციაში ნაშუადღევის 2 საათზე.

◆ **ნინოობა.** დღეს სიონის საკათედრო ტაძარში მწირველი იქნება კათოლიკოზი კირიონი ტფილელ მიტროპოლიტ ლეონიდეს თანამწირველობით.

◆ **განსვენებულ კიტა აბაშიძის გარდაცვალების გამო** სხვა და სხვა ადგილებიდან მრავლად მოგვდის სამძიმრის წერილები და დეპეშები. სამწუხაროდ, უადგილობის გამო ვერ ვბეჭდავთ. ყველა ეს მასალა გადაეცემა განსვენებულის ოჯახობას.

ამიერ-კავკასიის ამბები

შამქორი.

სადგურ შამქორიდან აკ. ჩხენკელს დეპეშით შეატყობინეს: სადგურს რამდენიმე ეშელონი უახლოვდება. ისმის სროლის ხმა ზარბაზნებით, სადგურთან ბრძოლაა. საჭიროა მაჰმადიანთა და ჩვენი დელეგატების ჩამოსვლა, და აგრეთვე სამედიცინო პერსონალის წამლებით.

განჯიდაან.

შამქორ-ძეგამის ხაზს საფრთხე მოელის. განკარგულება გაეცით, რომ ეშელონები არ გამოუშვან. ლიკვიდაციისათვის საჭიროა დრო. მოკლული და დაჭრილი ბევრია. საზ. თავდაცვის კომ. თავმჯდომარე ადიხკერ ხასმამედოვი.

რკინის გზის უფროსის განკარგულება.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის უფროსმა შემდეგი განკარგულება გამოსცა. ის საშინელი ამბების გამო, რომელიც ტფილის-ბალაჯარის რაიონში ხდება, ამ რაიონში მოძრაობა ძალიან გაძნელებულია. ამის გამო გამოაკარით ყოველგან განცხადება მგზავრების საყურადღებოდ რომ ერიდონ ამ გზაზე მგზავრობას ბალაჯარას დასავლეთით მყოფ სადგურამდე.

დაუყოვნებლივ შეადგინეთ დიდ სადგურების მოსამსახურეებისა და მილიციონერებისაგან მოძრაობის მოსაგვარებლად.

მკაცრი კონტროლი დააწესეთ, რომ კონდუქტორთა ბრიგადებმა პირნათლად შეასრულონ თავისი მოვალეობა.

იარაღის დატოვების შესახებ

მთავარსარდლის დროებით თანამდებობის აღმასრულებელმა **ა. მიასნიკოვმა (ბოლშევიკია)** შემდეგი ბრძანება გამოსცა: „ვუბრძანებ საბჭოებს, კომიტეტებს სისწორით შეასრულონ ეს ბრძანება. დემოკრატიულ ორგანიზაციებს ვსთხოვ დაეხმარონ. არც ერთი ჯარისკაცის სახლში გაშვება არ შეიძლება იარაღით ხელში, ხალხის შეიარაღება შეიძლება განხორციელებულ იქნას საერთო სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო წესით. თავისუფალი [illegible] ჯარის ნაწილებში ან სამხედრო საწყობებში [illegible] უნდა დაევალოს საბჭოებს და კომისარებს“.

—

კავკასიის ფრონტის სამხედრო კომისარმა **გობეჩიამ** და **შტაბის უფროსმა გენ. მდივანმა** შემდეგი ბრძანება გაუგზავნეს აქსტაფაში ეშელონის დელეგატებს, შამხორში—პოლკოვნიკ მალალოვს და ჯავშნიანი მატარებლის უფროსს, დოლიარში—მე-2 დივიზიონის უფროსს გოტშალკს: „ამიერკავკასიაში სდგება ნაციონალური პოლკები, მათ შორის რუს მოხალისეთა კორპუსი. იარაღი არ მოგვეპოვება და არც იმედი გვაქვს რუსეთიდან მივიღოთ; მთავარსარდლის მიერ ნაჩვენებია ნაციონალური ნაწილები, რომელთათვის შეიძლება იარაღის და სხვა სამხედრო ქონების გადაცემა. გამონაკლისს შეადგენენ ყაზახთა ნაწილები და თურქესტანის კორპუსის ერთი ნაწილი, რომელნიც იარაღით წავლენ, მაგრამ ასეთი ბრძანება სისრულეში არ მოდის. ყველანი იარაღით მიდიან თავიანთ სახლებში. ამით საშუალებას უსპობენ ადგილობრივ ჯარებს და, მათ შორის, ახლად შემდგარ ადგილობრივ რუსის ჯარსაც დაიცვან კავკასიის სანგრები ოსმალების მოსალოდნელ შემოსევისაგან. წინადადება მიეცეს ეშელონებს დასტოვონ ტყვიისმფრქვეველები და ზარბაზნები და თოფები ნახევარი ნაწილი მაინც, რაც თან აქვთ. ჩვენ დაჟინებით არ მოვითხოვთ ამ ბრძანების სისრულეში მოყვანას. ჩვენ მივმართავთ აქ ეშელონებს და ვაგონებთ მათ სამშობლოს წინაშე მოვალეობას. უკეთუ ისინი ამას არ შესმენენ, რომ თავიდან აცილებულ იქნას ძმათა სისხლის ღვრა, წინადადება ეძლევა ჯავშნიანი მატარებლის უფროსს იარაღიანი [illegible] გაუშვას ხსენებული ეშელონები. ამ ეშელონებმა კი ჯავშნიანი მატარებელი დაუბრკოლებლივ ტფილისისკენ უნდა გამოისტუმრონ.

საქ. სოც.-ფედ. სარ. პარტიაში

ახალ მთავარ კომიტეტს სოც.-ფედ. პარტიისას 12 იანვარს, ჰქონდა პირველი საორგანიზაციო კრება. თავმჯდომარედ აირჩიეს: გიორგი ლასხიშვილი. მის ამხანაგებად სამ. ფირცხალავა და იოსებ ბარათაშვილი. მდივნად მიხ. საყვარელიძე, ხაზინადრად თ. ღლონტი. განიხილეს სხვა და სხვა საკითხი. კომიტეტის კრებები გაიმართება ყოველ ხუთშაბათს.

— სამშაბათს საღ. 7 საათზე პარტიულ კლუბის დარბაზში დანიშნულია ტფილისის სტუდენტთა ბიუროს კრება. ამხანაგებს ვთხოვთ ნუ დაიგვიანებენ.

ეროვნულ დემოკრატები და მიწის დეკრეტი

მკითხველებმა იციან უკვე, რომ ამიერკავკასიის დროებითმა მთავრობამ დეკრეტი გამოსცა მიწის შესახებ.

მშრომელი ხალხის დიდი უმეტესობის წადილი რამდენიმედ განხორციელდა დღეს გლეხობა რწმუნდება, რომ მარტო რევოლიუციას შეეძლო დაეგვირგვინებინა ღირსეულად მისი სამართლიანი მოთხოვნა. ალბად, ამიერკავკასიის მთავრობა მიხვდა იმ შეცდომებს, რომელიც მენშევიკ ეს-ერების ბლოკმა ჩაიდინა კერენსკის მეთაურობით.

გამოირკვა, რომ საკითხი დაყოვნებას ვერ იტანს და რევოლიუციის საქმეში არევ-დარევა შეაქს, და რაც ჩქარა გადაწყდება გლეხთა საკითხი, მით უფრო ენერგიულად ჩაერევა რევოლ უციის ფრონტის გაძლიერების საქმეში მრავალ რიცხოვანი გლეხობა. მაგრამ ამიერკავკასიის მთავრობას არ შეუძლიან საბოლოოდ გადასწყვიტოს ეს საკითხი. მიწის დეკრეტის ცხოვრებაში გატარება ეროვნულ პოლიტიკურ ერთეულების საქმეა და რაც ჩქარა ჩამოყალიბდებიან ასეთი ერთეულები, მით უფრო მალე დაგვირგვინდება ეს საქმე. ამიტომ დეკრეტის განხორციელება ითხოვს დაუყოვნებლივ ასეთ ერთეულების შექმნას. რევოლიუციამ დააკანონა გლეხთა უფლება მიწაზე, ჩვენ კი გვეცდება ამ კანონის განმტკიცება.

მაგრამ ასე არ უცქერის საკითხს, ეროვ.-დემ. პარტია, რომელსაც იმდენი ურცხვობაც კი დაუჩემდა, რომ

მოხელე ქალი

დღეს ნინოობა. დიდი ფაცი-ფუცია ჩვენ ეზოში, მოსამსახურენი რამდენიმე შეძლებული მდგმურებისა მეტისმეტის შრომით ძლივს სდგანან ფეხზედ.

სამზარეულოებიდგან შემწვარების, ნამცხვრების სასიამოვნო სუნი ტრიალებს გარეშემო. თითქმის ყოველ ოჯახში ამ დიდის სახლის მრავალ მდგმურებისა „იმენინიცა“ არის. ზოგან ორორიც—ბებია და სეხნია ბებიისა, შვილიშვილი; ან დისწული, ან ცოლის და და სუყველანი დიდს სამზადისში არიან: კაბები, საჭმელები, საჩუქრები დიდს ალიაქოთს და აზრთა გაცვლა-გამოცვლას იწვევენ ოჯახის წევრთა შორის.

ზოგან მაღალხმოვანი ჩხუბიც ისმის, ზოგან ტირიან კიდეც, იშვიათად თუ იცინიან, მხიარულობენ სტუმრების მისვლამდე მაინც.

— ყოვლად შეუძლებელია, ამბობს კიკო ეზხიბაში და აღშფოთებული დარბის ოთახში—მაგვარი ფლანგვა შეუწყნარებელია! საიდან? რითი უნდა დავფაროთ მაგოდენა ხარჯები? ვალსაც ველარ ვშოულობთ, ხომ გაიგე ნდობა აღარა გვაქვს დასაგირავებელი შემოგვაკლდა.

— ნუ ჯავრობ, ნუ დარბიხარ! ნერვები ნუ აიშალე. მოდი დაჯექ, წყნარად და დამშვიდებით მოვილაპარაკოთ თან განრისხებით და თან ქოლიაობით უპასუხებს მაკრინე ქმარს.

— გასათხოვარი ქალი გვყავს, მოსალოცად მოვლენ უცხო და შინაური, საჩუქრებსაც მოუტანენ და ჩვენ პირიც არ გავასველებინოთ?! აბა გარდამატებული რა არის? დილით შოკოლადი, პეროჟნი... სადილი ძლიერ მსუბუქი... ახალი თევზა, პეროგი ბულიონით, ინდოური...

— ხა, ხა, ხა! ნაძალადევად ხარხარებს კიკო და უზდელად აწყვეტინებს ათას მაზა-მაზაზედ ლაპარაკს თავის მეუღლეს.

თევზი, ინდაური, შოკალადი ეხლანდელ საზღაპრო სიძვირეში! იცი რა დაჯდება? იცი თუ არა? უფრო ხმა მაღლა და დორბლების ყრით ამბობს ქმარი.

— ნუ ყვირი გეთაყვა! მოსამსახურეები რას იტყვიან, სტუმრებამდინაც მიაღწევენ შენი სიძუნწის ამბავს! ნინას თვალები მთლად დაწითლებული აქვს ტირილისაგან. სტუმრებთან როგორ-ღა უნდა გამოვიდეს და თან საიდუმლოდ, პირზედ ხელის აფარებით უჩურჩულებს: „გიგო მალხაზიჩი თურმე დღეს „პრედლოჟენიის“ გაკეთებასაც უპირებს“.

— შენ კი სკანდალად ულოცავ შენ პირმშო შვილს! კიკო ხმას იწყვეტს სამზადისი ძალაში შედის.

— მე არ გამოვალ შენ სტუმრებთან, ეუბნება მეორე სადგურში დედა ქალიშვილს. ვინ იცის, ვინ ოხრები იქნებიან შენთან! მე შენ მეგობრებს პატივს არა ვცემ და არც მინდა იმათთვის ხარჯი გავწიო!

— არ გამოხვალ? პატივს არ სცემ ჩემ ნაცნობებს?—მაშ რად მირჩევდი სამსახურში შესვლას, მაშ არ იცოდი რომ იქ ამხანაგები—ჩინოვნიკები მეყოლებოდნენ, რომ იმათთან გაცნობა, კავშირი დამჭირდებოდა? რომ „სამსახური“ თხოულობს თვალებში უყურო ყველას, ვისაც ემსახურები? რომ ყოველის გზით უნდა ეცადო დამოკიდებულობა გაიმაგრო უფროსებთან, ამხანაგებთან! თორემ ათი სხვა ელის შენ ალაგის დაჭერას?! მწარე მწარე პასუხს ეუბნება. ლაზარეთში მოსამსახურე „დარიკო“ ნინუცა თავის ამაყს დედას. და ასე და ამგვარად ყველას ყელზედ ადგია ეს „ნინოობა“, მაგრამ მაინც ყველა ეწევა ჰაპანს ამ უ[illegible]ნაურად შემოჭრილ და დაწესებულობის გადამბდის ვაგლახს.

მარტო ჩემი მეზობელი ნინო მარტოელი დღესაც ისევე შეურყეველია და დაღვრემილია, როგორც ყოველთვის.

ის ჩვეულებრივ დღესაც ადრიანად ადგა, დაალაგა თავისი პატარა ლამაზი ოთახი, „ნავთიანკაზედ“ გუშინდელი მოხარშული ყავა გააცხელა და შავი პურის ნაჭრით ისაუზმა რკინის ფეჩის ქვეშ მოკალათებულ ბებერ კატას ლამბაქით რძე დაუდგა მერე პალტო ჩაიცვა, ქუდი დაიხურა, ხელში „პორტფელი“ აიღო სამსახურში წასასვლელად გაემზადა, მაგრამ მოაგონდა რომ გუშინ უმფროსმა სიცილით უთხრა კონტორაში მოსამსახურე ქალებს ქ.ქ. ნინოებო, თუ გსურთ ხვალ ნუ მობრძანდებით სამსახურში! თქვენი დღესასწაულია და იქეიფეთ“.

პატარახანს ჩაფიქრებული იდგა ნინო პორტფელით ხელში, მერე რაღასაც მოსაზრებით ნელა ნელა გაიხადა პალტო და პორტფელი საწერ მაგიდაზე დასდო და თითონაც მაგიდას მიუჯდა. არ იცოდა რა ექმნა, რა გაეკეთებინა, რაზედ მოეხმარნა ეს თავისუფალი დღე. დაჩვეული მექანიკურად მუშაობას დილიდგან ნაშუადღევის სამ საათამდე თავს მოშლილად გრძნობდა.

— წირვაზედ ჩავალ! წამით გაიფიქრა ნინომ.—გუშინ გაზეთში წავიკითხე სიონში კათალიკოსია მწირველი. მგალობელთა გუნდი იგალობებს... მაგრამ წამსვე გადაიფიქრა, ნინოს დიდი ხანია ლოცვა აღარ გახსენებია, არც სწამდა, არც სჯეროდა რომ ლოცვა აღაფრთოვანებდა, აიზმას სცხებდა ამის დავრდომილ უკვე დაშრეტილ სულს.

— დაშრეტილ სულს რათა? რათა? მწარეთ ამოიკვნესა ყმაწვილმა ქალმა და მხოლოდ ამ კვნესამ გაალღვია, გაცხოველა ამის უფერული ცხოვრება და თუ კმაყოფილება არ, რამდენიმედმე სიცოცხლის მაგვარი შეძგრით მაინც გააშუქა მივიწყებული კუთხეები ამისი წარსულის ცხოვრებისა,

..დედა, მამა, დები, ძმები, გაჩირაღდნებული ოჯახი, სიამოვნება, კმაყოფილება, სიყვარული... სიყვარულში სიყვარული მართლა ცეცხლებრივ მძლონიარე სიყვარული და ამ სიყვარულისათვის შეწირული სუყველაფერი, სუყველაფერი რაც კი შეადგენს ადამიანის არსებობის მიზანს!

დღეს კი, დღეს! მარტოობა, მარტოობა სულიერი და ხორციელი! ოცდა რვა წლის ჰაბუკს, სრულუფლებიანს და შეგნებულის ასულის სულიერი და ხორციელი სიკვდილი. დიახ, დიახ სწორედ სიკვდილი, გაბათილება სიცოცხლის! კვლავ კვნესით სთქვა ნინომ და თვალი გადავლო თავის გამარტოვებულ, საცოდავ ვიწრო ეზოში მიკრუნჩხულ ოთახისთვის რად უნდა საბეჭდავ მანქანაზედ მომუშავე ვიღაცა ნინო მარტოხელის არსებობა? ვინ გაიხსენებს იმის ხსოვნას? ვინ შემოაღებს იმას კარებს თითქო ნინოს შეკითხვაზედ ფეჩ ქვეშ მწოლი ხატაურ ზეზე წამოდგა., გაიჭიმა და ნელა ნელა დიდის მოკრძალებით და სინაზით ქალის კალთაზედ აცოცდა და ალერსით შეახო იმ ს მუხლებს მკვდარივით დაყრილ ხელებს თავისი ცივი ცხვირი და ოდნავ შეჰკნავლა.

— ოჰ! ჩემო ერთად ერთო მეგობარო. ამოოხვრით სთქვა ნინამ და თვალები ცრემლებით აევსო... მაგრამ შენც ხომ მხოლოდ იმიტომ გაგახსენდი, რომ პური მოგშივდა? „ფეჩში“ ცეცხლი ჩაჰქრა?!

— მაინც გმადლობ, რომ ჩემ გვერდით ხარ და გულზე მიიკრა.

ეკ. გაბაშვილი.

გლეხობასაც მოუწოდებს თავის დროშის ქვეშ, მის ინტერესებს „ექომაგება"...

მაგრამ არასოდეს ისე აშკარად არ გამოუტანია „საქართველოს" და მის პარტიას თავისი პირადი ზრახვანი მემამულეების და თავად-აზნაურობის (წოდების გაუქმების შემდეგ) ინტერესების მფარველობა, როგორც დღეს. ეხლა იგი აშკარად იყვანენ ამ მუქთახორებს თავის მფარველობის ქვეშ და მათ ნივთიერ უზრუნველყოფას უნდა სახელოვანი დემოკრატიული „დროშა" ფეხქვეშ გაუფინოს. დღემდე ეს პარტია აშკარად ვერ ბედავდა ყველა ამის თქმას, რადგან არ სჯეროდა რევოლიუციის სრული გამარჯვება, მაგრამ, როცა დადგა ხანა ლოზუნგების ფაქტად ქცევისა, როცა მიწა დეკრეტის ძალით უნდა გადავიდეს მშრომელ გლეხობის ხელში, „დემოკრატიული" პარტია შეძრწუნდა და რაკი ძალა ვერაფერი იპოვა, მოინდომა დეკრეტის და რევოლიუციის მონაპოების გაბიაბრუება, გამასხარავება, უნდა გლეხობა დაარწმუნოს რომ ეს უბრალო ქაღალდია რომელსაც არავითარი რეალური მნიშვნელობა არა აქვს, რომ მიწების რევოლიუციონურის გზით გლეხების ხელში გადასვლა სოციალისტების „ოცნებაა" და სხვ.

წითელი საფრთხის წინაშე მდგარი ბურჟუაზიული პარტია ეროვ. დემ. მოუწოდებს გლეხობას არ დაუჯერონ ამ დეკრეტს და სწადია მდგომარეობა ძველს „ნორმალურ კალაპოტში დარჩეს. მაგრამ არ იკმარა მემამულეები „საქართველო"-მ და მას უნდა გლეხობის მოტყუილება, იგი გვარწმუნებს, რომ დეკრეტით არაფერი შეცვლილა და გლეხობა ძველებურად დინჯად და სწორ გზას მიყვება და ეს გზა თურმე ისაა, რომ „გლეხობას უფრო დაბეჯითებით შეაქვს ეხლა დაგირავებულ მიწებში აღებული სესხი, ბევრი ამ სესხს ვადაზე ადრეც იხდის, გლეხები თურმე უნდობლად უყურებენ დეკრეტს. მათ ძველებურად უნდათ ბანკების სესხით მიწები შეისყიდონ" და სხვ, (იხ. „საქართველო № 8).

აი, ამას სწერს გაბედულად, უსირცხვილოდ ნაც.-დემ. პარტია და ასეთ გზას უწონებს გლეხობას, იგი რუს რეაქციონერებთან ერთად მოუწოდებს გლეხობას არ აყვეს რევოლიუციის ფეხის ხმას, თავისი მიზნები ძველ წყობილების შესაძლოებას შეუგუოს და ამაში ხედავს გლეხობის მიერ ნამდვილ ინტერესების შეგნებას.

„საერთოდ აღსანიშნავია", ამბობს გაზეთი, „რომ გლეხობა სცდილობს უფრო საფუძვლიანად განამტკიცოს უფლება ამა თუ იმ სახით შეძენილ მიწებზე".

მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ, სჯერა კი თვითონ ეროვ.-დემ., რომ გლეხობა ამ პროვოკაციას გაყვება, რევოლიუციონურ გზას უარყოფს, დეკრეტს საოხუნჯოდ გაიხდის და ქართველ მემამულეების უნუგეშო ისტერიულ მახით გაყვება?

ძალიან პატარა წარმოდგენის უნდა იყვნენ ის ფუტურისტ-ბურჟუები „საქართველოს" რედაქციაში რო სხედან, მაგრამ ამ პატარა შორსჭვრეტასთან მათ დიდი მადაც თან დაჰყოლიათ.

ქართველი გლეხობა კარგა ხანია ამას ხედავს და ვნახავთ ეფშაპელების ბრძენ უსტარებს გაჰყვება, თუ რევოლიუციონურ მთავრობის დეკრეტს.

ჭალარა ულორტი.

სახალხო მასწავლებლები

და გაზეთი „ერთობა" № 6.

„მაძღარს მშიერისა მაძღარი ეგონა!" ნათქვამია. ასე ემართება „ერთობასაც" სახალხო მასწავლებელთა ნაწილის მიერ გაფიცვის გამოცხადება, ულუკმა-პურობით გამოწვეული, „დემოკრატიულ" გაზეთს ანარქიად მოაჩვენებია და ბრაზმორეული ჰკითხულობს: „ვის წინააღმდეგ გაიფიცნენ მასწავლებლები? ვის გამოუცხადეს მათ ბრძოლა? ცხადია, ისინი გაიფიცნენ იმ გლეხების წინააღმდეგ, რომლების შვილები სწავლობენ უმთავრესად სოფლის სკოლებში!" ასე აბეზღებს ხალხთან „ერთობა" სახალხო მასწავლებლებს, განა სირცხვილი არ არის ასეთი დემაგოგიური გალაშქრება იმ მუშაკთა წინააღმდეგ, რომელნიც მთელი თავის ჯანღონეს, სულსა და გულს სახალხო, საგლეხო საქმეს ანდომებენ, რომელნიც სიმშილ-სიცივე-სიტიტვლეს ითმენენ ხმის ამოუღებლად ათეული წლების განმავლობაში? საბრალო მასწავლებლები! „ძლიერნი ამა ქვეყნისანი" არც წინად და არც ახლა არა თუ არასწავლობენ მათ, ართმევენ გაფიცვის უფლებასაც კი, რომელიც მშრომელთა ყველა ჯგუფს აქვს მინიჭებული. იქნება „ერთობის" მაღლარ მწერლებს მასწავლებლები მშრომელ ხალხად არ მიაჩნიათ? ან იქნება ჰგონიათ, რომ იმათ თავის რჩენა მხოლოდ ჰაერით, წყლით და დაპირებებით შეუძლიანთ? გვიკვირს, თუ სხვა დარგის მუშების გაფიცვა არ ანათლება რევოლიუციონურ მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლად, სახალხო მასწავლებლებმა რა დააშავეს, „ვის რა ვაირი მოჰპარეს".

საზოგადოებას მოეხსენება, რომ სოფლის მასწავლებლები იღებენ თვეში ხუთიდან შვიდ თუმნამდე, რაც ამ საარაკო სიძვირის დროს მშიდის ფქვილის საყიდლადაც არ ჰყოფნით! განა შეიძლება ამ საწყალი გროშებით თავის რჩენა და ცოლშვილის გამოკვება, ან ტანსაცმლის ყიდვა და ჟურნალ-გაზეთების გამოწერა? მართალია, რამდენიმე თვეა ჰპირდებიან მასწავლებლებს ჯამაგირების გადიდებას ოცდა ერთ თუმნამდე თვეში, მაგრამ არა თუ არ ეშველა რამე ამ დაპირების განხორციელებას, იმ შვიდი თუმნის მიღებასაც ხშირად თავის დროზე ვერ ახერხებენ, განა ამის შემდეგ გასაკვირველია, რომ იმედგაცრუებულმა მასწავლებელმა მიმართონ ერთად-ერთ ზომას, რომელიც მათ ხელში არის და დააჩქარებენ მთავრობას ჯამაგირების მომატება? განა კომისრებ-მილიციონერებისთვის თუ მოეპოვებათ თვეში ოცდახუთ. ორმოცი თუმნები, სოფლის მასწავლებლებს ვერაფერ წყარო ამოუჩინენ.

მასწავლებელთა გასაშავებლად გაზეთი აშკარა ტყუილსაც არ ერიდება და ასეთ კითხვას იძლევა: „თუ კი ტფილისის ქალაქის თავი ხუთასი მანეთით კმაყოფილდება, მაშ რატომ არ უნდა დაკმაყოფილდენ პროვინციელი მასწავლებლები ოც თუმნით, მაშინ, როდესაც პროვინციაში უფრო გაცილებით იაფია ცხოვრება ვინემ ტფილისში? ვინც არ იცის, ეგონება, მასწავლებლები მართლა ოც თუმანს იღებენ თვეში, რაც სრულიად არ შეეფერება სიმართლეს, სახალხო მასწავლებელთა ჯამაგირი აქამდისინ ფაქტიურად შვიდ თუმნის მაღლა არ აწეულა ჩვენი ქვეყნის ბევრ ადგილებში. რად დასჭირდა გაზეთს ასეთი ცოცხალი ტყუილის შეთხზვა, ვერ გაგვიგია?! დასასრულ დამახასიათებელია გაზეთისთვის შემდეგი სიტყვები: „ჩვენ მივმართავთ მასწავლებელთა შეგნებულ დემოკრატიულ ნაწილს და მოვუწოდებთ შეწყვიტონ გაფიცვაო". გამოდის, ვითომ მასწავლებლებში იყოს არა დემოკრატიული და შეუგნებელი ნაწილიც. ესეც სილის გარტყმაა მშიერ მასწავლებლებისთვის დახმარების ნაცვლად, რაც მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველ გაზეთს არ ეპატიება.

ელვა.

საგრარო ლიგის მოწოდება.

მოქალაქენო!

ამიერკავკასიის ისე, როგორც მთელ რუსეთის, თანამედროვე და მომავალი წყობილების შექმნაში მნიშვნელოვანი და ამავე დროს რთული ადგილი უჭირავს მშრომელი ხალხის უზრუნველყოფას მიწის საკითხის მოგვარებით. მიწის საკითხის სამართლიანი გადაჭრისაგან დამოკიდებულია მთელი ქვეყნის და სახელმწიფოს ეკონომიური კეთილდღეობა. ამიტომ ადგილობრივი საზოგადოების აზრი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იყოს მომართული აგრარული საკითხის გადაჭრისაკენ ამიერკავკასიაში.

ამ საკითხის გარშემო დიდი კამათი იყო ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებში და ჩვენ აქვს მთელი რიგი პროექტი მისი გადაჭრისა. იმ კანონმდებელ აქტებს, რომელიც ადგილობრივმა მთავრობამ გამოსცა მიწის საკითხის მოსაგვარებლად ამიერკავკასიაში, დეკლარაციული ხასიათი აქვს და მათი ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა ადგილობრივი თავისებური პირობების დეტალურად შესწავლა. ამიერკავკასია, როგორც მოგეხსენებათ წარმოადგენს მრავალფეროვან და აჭრელებულ ქვეყანას, რომელიც ნაკლებად არის შესწავლული გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და კლიმატიური მხრით და ამ მხრით მას ცუდად იცნობენ, ალბად, ის ხალხის მიერ არჩეული პირები, რომელნიც ამიერკავკასიის მთავრობას სათავეში უდგანან და იმ ადგილობრივ სადგილ-მამულო კომიტეტებში შედიან, რომელნიც მოწოდებული არიან მოამზადონ და განახორციელონ საგრარო რეფორმა.

ევროპის რუსეთში, როგორც კი დროებითმა მთავრობამ ფართოდ დასვა მიწის საკითხი, იმ პირთა შორის, რომელნიც დიდი ხანი მუშაობდნენ ამ დარგში: ეკონომისტებში სტატისტიკოსებში და აგრონომებში. დაიბადა აზრი, შეერთებულიყვნენ, შექმნათ საერობო რეფორმათა ლიგა და ფართოდ დაეყენებინათ საგრარო პრობლემის მეცნიერული შესწავლა,

ლიგის წევრებად ირიცხებიან პირები სხვა და სხვა მიმართულებისა, და აგრეთვე უპარტიონი, რომელნიც თავის მიზნად ისახავენ მიუდგომელ, მეცნიერულ და ყოველ მხრივ შესწავლას აგრარული საკითხისას, რომელნიც განხილული იქნება ლიგის წევრთა მოხსენებებსა და რეზოლიუციებში. უმთავრესი მიზანი საგრარო პრობლემისა, ლიგას სამ ძირითად დებულებაში აქვს გამოხატული! 1) **რუსეთის მოწყობის აგრარული მხრით საფუძვლად ხალხს უნდა გადაეცეს მთელი მიწა ჩვენი სამშობლოსი.** 2) **მიწის გადაცემა უნდა მოხდეს სახელმწიფოებრივ გეგმის ნიადაგზე**, რომელიც შემუშავდება.

ჩვენი სამშობლოს თვითოეულ კუთხის ეკონომიური პირობების შესწავლის და ყოველმხრივი განხილვის შემდეგ, წესიერ, სამეურნეო ცხოვრების დაურღვევლად; 3) **მიწის საკითხის მოგვარება მხოლოდ ნაწილია საგრარო პრობლემისა**, რომელიც შეიცავს ყველა იმ საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია სასოფლო სამეურნეო ნაწარმოების საზოგადო პირობებთან, მეურნეობის ორგანიზაციებთან და ამ მეურნეობის საერთო, მსოფლიო მეურნეობასთან კავშირის ორგანიზაციასთან.

ლიგაში შედიან აგრარულ საკითხის ყველა თეორეტიკი განურჩევლად მიმართულებისა (პ. მასლოვი, ს. მასლოვი, პოსნიკოვი, პეშეხონოვი და სხვანი).

ლიგას დასახული აქვს მიზნად აგრეთვე: ა) სრულიად რუსეთის და ადგილობრივი ყრილობების მოწყობა საგრარო საკითხების გარშემო, ბ) სპეციალისტთა კომისიების დაარსება საგრარო რეფორმის განსახილველად გ) საგრარო რეფორმისათვის საჭირო მასალების შეკრება ადგილობრივ, დ) კურსების, ლექციების და დისპუტების მოწყობა აგრარულ საკითხზე, ე) წიგნების და პერიოდული გამოცემების მოწყობა, ვ) ლიგის განყოფილების დაარსება რუსეთის თვითოეულ კუთხეში რათა მომავალი რეფორმისათვის ყოველ მხრივ იქმნეს გამუშავებული აგრარული საკითხი.

ლიგის ამიერკავკასიის განყოფილების ინიციატორები, რომელთაც თავის თავზე აიღეს ლიგის მიზნების განხორციელება ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ეთნოგრაფიულად, გეოგრაფიულად, ისტორიულად და სხვა მხრით ძალიან აჭრელებულია, მოუწოდებენ ყველა სამეცნიერო, საზოგადო, ეროვნულ და პარტიულ ორგანიზაციებს და **ამიერკავკასიის ყველა მოქალაქეს**, რომელნიც დაინტერესებულნი არიან აგრარულ საკითხის გადაჭრაში და მუშაობდნენ და მუშაობენ ამ დარგში, მიიღონ მონაწილეობა მუშაობაში და შევიდნენ ლიგის განყოფილებაში და ინიციატორებთან ერთად თავისი წვლილიც შეიტანონ მშრომელი ხალხის სამეურნეო კეთილდღეობის მოგვარებაში.

განყოფილების სხდომები გაიმართება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ბინაზე (ბარიატინის ქუჩა, № 5).

ინიციატორების დავალებით საგრარო ლიგის ამიერკავკასიის განყოფილების დროებითი ბიურო: პროფესორი ს. ზხაროვი, აგრონომები: ი. პირუმოვი, ა. ტამამშევი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კანდიდატი და აგრონომი ა. კორინთელი, კავკ. სასოფლო-სამეურნეო საზოგ. საბჭოს წევრი ე. ზურცალოვი და საზოგადოების წევრი ინჟენერი ლ. ბებუთოვი.

გამომცემელი
[illegible]
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა

პრობკები
სამინერალო, სალუდო, ღვინისა, კვასისა, აფთიაქის და ლაფიტის ბოთლებისათვის.
იკითხეთ სოლოლაკი, სერგიევის ქ. № 15, ეზოში, მარჯვნით. 57

საბუღალტრო კურსები
გ. კ. ტერ-დავიდოვისა
ნიკოლოევის ქუჩა № 36 4 გვ. 1400

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი
ნ. ვ. აბრამიანსა
საბუღალტრო კურსები
(არსებობს 1895 წლიდან).
ღებულობს მოწაფეთ ორივე სქესისას. კურსები 4 თვიანია, ყოველ დღე მეცადინეობით.
15 დეკემბრიდან დაიწყო თხოვნების მიღება. სწავლა 1918 წლის 15 იანვრიდან იწყება. პროგრამა და მიღების წესის ქაღალდი მიეცემა ყველას ნიკოლაევის ქუჩა № 22. ტელეფონი 7—44. 2259

ექიმი
ი. გ. კონიევი
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდის-უბნის ქ., № 3. 55

ექიმი
ე. ლ. შალამბერიძე
იღებს სამეანო და საშვილოსნოს ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროპავლოვის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს [illegible] დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ექიმი კბილისა
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. [illegible] ქუჩა, 14, [illegible] შესახვევი, 21.

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 6—8 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ბინა. 1002

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფებს დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 8.

ექიმი
ლ. დ. ფავლენიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 ს. მისამართი: კუთხე მუხრანისა და ბარატინსკის ქუჩისა № 23/31. 1004

დოქტორი მედიცინისა
[illegible]
კალანდარიშვილი
[illegible] 1028

ს. ზ. მირზოევი
[illegible] ტფილისის [illegible] საავადმყოფოსი, იღებს $1^1/_2$—$3^1/_2$ ს., გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. ტელ. 13—67. 1009

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნის ქ., 18, ტელეფონი 11—32. 1008

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა.
იღებს ავადმყოფებს
ახალ ბინაზე
გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად.
საღამ. 5—7 საათამდე, ყოვ. დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მარშის" პირდაპირ. 1029

ექიმი
გ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფ[illegible] საღამოს 5—6 ს.-დე კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, [illegible] 1080

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის
დოქტორი
გ. გ. მეჰრაბიანცი
ჩამოვიდა და განაახლა.
შინაგან ავადმყოფობა—[illegible] ახალ რენტგენ-ელექტრო-კაბინეტში, გამოკვლევა და წამლობა X სხივებით, თავის დუში ვენის ტიპისა, დიდი სოლოარიუმი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსონვალისა [illegible] სნეულებისათვის, [illegible] ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 [illegible] ქ., № 28, ტელეფ. [illegible] 683

ექიმი
[illegible]
[illegible] „606" და „914" [illegible] ყოველ დღე საღ. $5^1/_2$ ს.-დან 8 ს.-მდე. [illegible] ქ. № 38. ტელ. № 16—17. 1008

[illegible]
პირველი ქართ.
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
[illegible]
[illegible] დღე (გარდა კვირისა)
დილით:
0—12 ს. „606" და „914"
ავადმყოფი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს $11^1/_2$ ს.
[illegible]
სამკურნალოს [illegible] 1001

ჟურნალი **„თეატრი და ცხოვრება"** № 2 შინაარსი
(წლიწადი მეექვსე)
1. მეთაური—ჩვენი ხელოვნება; 2. ილია ჭავჭავაძე—ლოცვა; 3. აკაკი—ლოცვა; 4. გ. ქუჩიშვილი—ქუდზე კაცი; 5. იოსებ იმედაშვილი—ქალის დღეობა; 5. თამარო გოგვაძისა—მუშა ქალებს; 7. ს. ტაიფუნი—[illegible] გზა, 8. დარია ახვლედიანისა—ვით მოგილოცოთ? 9. შალვა დადიანი—მისალმება; 10. იოსებ არიმათიელი—საუბარი მსახიობთან; 11. მარიჯან—აღდგენილი სული; 12. ალ. ნეგრელი—ქუჩის ქალი; 13. მორ. ხარხელი—უდაბნოში (ოლდა კობლიანსკა, უკრაინულიდან) 14. ვარინკა ერისთავი—რად მოგილოცოთ? 15. დ. ვანჩათელი—ჰხარობს გული; 16. იოსებ იმედაშვილი—ქორწილი (გაგრძელება), 17. სგ. წერეთელი—მეორედ მოსვლა (გაგრძელება); 18. [illegible] თუმანიანის წერილი; 19. ალ. ოგანეზაშვილი—ჰიმნური; 20. ქართული [illegible]; სხვა და სხვა ამბები; 21. სურათები და სხვა.
თითო ნომერი 50 კაპ. მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის. წლიურად 15 მ. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში რედაქციაში, მაზნ. ქ. № 20 ფოსტით Тифлисъ ред. „Театри да Цховреба"—Іос. Имедашвили. შენიშვნა: ყველა ხელის მომწერს ჟურნალი ეგზავნება ვისაც ნომერი არ მიუღია—მოითხოვოს. რედ.-გამ. იოსებ იმედაშვილი. 159

1918 წ. განახლებული საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი
წლიწადი მე-28 **ჯეჯილი** წლიწადი მე 28
გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილება: ბავშვებისთვის და მოზრდილთათვის.
ხელისმოწერა მიიღება ტფილისში ქ.-შ. წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის" რედაქციაში, არტილერიის ქ., № 5.
ჟურნალი წლიურად ღირს 20 მან, ნახევარი წლით 11 მან. განახლებულ ჟურნალში მონაწილეობას იღებენ საუკეთესო ძალები.
ხელმძღვანელთა ახლად შემდგარი კომისია (ქრ. შარაშიძე, ალ. [illegible], ან. ხახუტაშვილი (ცქვიტი), ან. რცხილაძე-წუწუნავასი და ჩიტუნავა-გელაშვილი) შეეცდება ჟურნალის ნორჩ მკითხველებს მიაწოდონ საღი და გონებრივი საზრდო.
რედაქტორ-გამომცემელი ან. წერეთელი

მიიღება ხელის მოწერა 918 წლისათვის
დასურათებული საყმაწვილო ჟურნალი
„ნაკადული"
წლიწადი მეთოთხმეტე
ჟურნალი „ნაკადული" გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.
მცირე წლოვანთა და მოზრდილთათვის.
ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა 12 მან. ნახევარი წლით—7 მან. ცალ-ცალკე: მცირე-წლოვანთათვის—7 მან. მოზრდილთათვის—7 მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.
რედაქციის მისამართი: მამადავითის ქ. № 2.
რედაქციაში არის გასული წლის კომპლექტები.

სარეკლამო ბიურო
„რიაშ"
(ტფილისი, ლორის-მელიქოვის ქ. 10).
ყურადღება!
მივიღეთ რა მხედველობაში მრეწველობის განვითარება ამიერ-კავკასიაში, დავაარსეთ და 1918 წლის 15 იანვრიდან გაიხსნება ტფილისში, კავკასიაში პირველი სარეკლამო ბიურო „რ ი ა შ"
რუსეთ-ამერიკის ფირმის, რომელიც რუსეთისა და საზღვარ-გარეთის სარეკლამო კანტორების მსგავსად აწარმოებს ყოველგვარ ოპერაციის განცხადებების და ყოველგვარ გაზეთებსა და ჟურნალებზე (ადგილობრივ და უცხო) ხელის მოწერის მიღებისას, სხვა და სხვა რეკლამების მოწყობის და სხვ.
განცხადების შედგენას ბიურო უსასყიდლოდ კისრულობს. განცხადების ფასი რედაქციებზე ძვირი არ იქნება. ბიურო იღებს აგრეთვე სხვა და სხვა გამოცემათა წარმომადგენლობას, ბიუროს ესაჭიროება აგენტები განცხადებების და ხელის მოწერის მისაღებად, ტფილისში და გარე ქალაქებში. შეუძლიანთ იმ პირებსაც რომელნიც სამსახურში იმყოფებიან [illegible] შემოსვლა სამსახურში. ბიურო დროებით იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, „ქიმიურ-ფარმაცევტულ ლაბორატორიის გვერდით. 1010.

[illegible] „სახალხო საქმე" [illegible] ქუჩა, სახ № [illegible]